

572  
1990

ISSN 0132-5965  
საქართველოს  
განათლების  
მინისტროს



31

საქართველო

1990 წ. ივლისი № 7

# მალა ღვებო კობრაგლს

მესედეთ ანარეკასა, —  
ემაწვილს თურთმეტი წლისასა,  
ზაზასთან ერთად მისთიბავს  
ბაღასსა ზირშითისასა,  
მსრებზე შუე მოჰკიდებია,  
ჩამონატეს ჰგავს კლდისასა,  
ზღაზრიდან მოსულს წაბავს,  
მუქუნაწოვსა შხისასა...



## შევეინარი

გუჯავებულ ბაღში მღერის  
სმაწვრილა შევეინარი...  
რომელ ვარსკვლავს შევადაროთ,  
მივარე რაა?  
შუე ვინ არი?  
ათი წლისაც არ იქნება,  
თითქოს სახთლის ღერი არი...  
გაზაფხულის სინათლეში  
მღერის,  
მღერის შევეინარი.



ონსა მობაძე

მხატვარი თამაზ ხუციანთაძე

რა უნდა იყოს ეს „ღრუბელი-ცხენი“? უცნაური სათაურია, ხომ? ასე ჰქვია ერთ სურათს. საღ შეიძლება მისი ნახეა ან ვისი დახატულია — ამ კითხვებზეც გვიპასუხებთ, ოღონდ ამბის ბოლოს.

მაშ ამბით დავიწყეთ.

თურმე მე და დათუნამ სულ ტყუილად ვირბინეთ — მუსიკის მასწავლებელს გრიბი შეჰყროდა და უკან გამოვბრუნდით. დათუნა გახლავთ ცხრა წლის ჩაფსკვნილი, შავთმიანი და მუქთვალბა, მუდამ მოდიმარი ბიჭი; ცოტა ცელქი, ცოტა ზარმაცუნა, მაგრამ ძალიან აღერისიანი და საყვარელი.

ისევ ხელიხელჩაკიდებულნი, ამჯერად ნუბანება შევეყვებით თრიალეთის ქუჩის აღმართს. საღდა გვექაურება — დედა და ბესიკი უკვე კინოში იქნებიან წასული. დათუნა ჭიჭყინებს, რატომ მეც არ გამიშვი მათთან ერთად, გაკვეთილი ხომ მაინც ვამიცდლო, მაგრამ მალე გზა-გზა ნაირ-ნაირი გასართობი მოვიგონეთ და ბიჭიც დაშოშმინდა.

დევებრის უქარო, მაგრამ საკმაოდ ცივი საღამო იყო. ქუჩასა და ეხოებში შეხვედრილი ხეების გამოცნობა დავიწყეთ. დათუნა თითქმის არ ცდება, თუმცა ხეებს ფოთლები გაცვენილი აქვთ. აი, კაკალი. რამდენიმე ჭიანჭავაძი. გამოფურტუროებული ნაყოფი შერჩენია კენწეროზე; ეს ბალია — კანით ვიცანით. აგერ ლელივი; იასამნის ბუჩქი! აღუბალს როგორი წვრილ-წვრილი ხშირი ტოტები აქვს... არც ვაშლი შეგვშლია, მარადმწვანე ხუროსა და დაფნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. რა ლამაზად ანთია ალაგ-ალაგ ხურმის წითელი ნაყოფებით დახუნძლული ტოტები, ყვითლად ჭიანჭვებს დაუკრეფავი კოშშიც; ზამთრის მსხალს მსხვილ-მსხვილი ნაყოფებისგან ტოტები გახსნილია.

ჩამობნელდა, ლამპიონები აკაშკაშდა. დათუნა სკოლის ამბებს მომიყვა, მერე გამრავლების ტაბულაში ზეპირად ვეპარჯიშე და ამასობაში ვარკეთილის მაღალსართულიან დახახლებასაც მივადწიეთ. სახლებს რომ დიდდი ციფრებით კორპუსის ნომრები აწერია, მაგალითად, „21 კ“, ემაზე დათუნამ ახალი გასართობი მოიგონა: — მამიკო, შეხედე, ეს სახ-

ლი 23 კაბიკი ღირს! ვიყიდოთ?! არა, მეორე სახლი სჯობს, უფრო დიდია და უფრო იაფიც — 20 კაბიკი უნდა! — შემომცინის დათუნა, ვივითვებს, კისკისებს გაუთავებლად.

ბოლოს, ახლადაშენებულ ცხრასართულიან სახლთან გავჩერდით. თვენახვევრის წინათ დაიწვეს ქვაბულის ამოღება და უკვე თითქმის დაამთავრეს სახლის აგება — ახლა მეცხრე სართულის აივნებს რკინის მოჯირებს უყენებენ და ელექტროშედულების ოქროსფერი ნაპერწკლები ცეცხლოვან ლამაზ წვიმად იფრქვევა თითქმის მიწამდე. დათუნას ვაფრთხილებ, შედუღების ადგილს ნუ შეხედავ, თვალები გუტკინება-მეთქი.

მერე მარჯვნიდან შემოერთებულ ქუჩასაც



ხუციანთაძის  
მხატვრობა

გავხედეთ. გავხედეთ და: — მამიკო, მამიკო, შეხედე! — შექაჩება სახელოზე დათუნა. — მთვარეს ზემოდან ცხენი ახტებს!

მართლაც, აღმოსავლეთით მუქ ლურჯ ცაში გამოკიდებული ჩახჩახა სავსე მთვარის ზემოთ ალაგ-ალაგ მუქი ღრუბლების ზოლები გამწვრივებულია და ის ღრუბელი კი, რომელიც ზუსტად მთვარის თავზე გაწოლილა, გადახმტარ ცხენს ჰგავს! აგერ თავი, მერე — კისერი, წინა, გაშვებული ფეხები, ტანიც, და უკან გაფარნული ფეხებიც! კუდიც კი აქვს, კუდი! — ხომ ლამაზია? — შეკითხება დათუნა.

— ძალიან! — ვეთანხმები, — მართლა ლამაზია! ცაც, ვარსკვლავებიც, მთვარეც, და ეს შავი ცხენიც, რომელიც ირგვლივ ნათელ კონტურად მოუყვება მთვარით განათებული თეთრი, ვიწრო ზოლი.

ქვევით კი მუქ-ჩრდილებით აციმციმებულ-ჩაბნელებული ქალაქია, — მანქანები გარბიან-გამორბიან, მათი ფერად-ფერადი მოძრაობა მუქებით აზიზიმიებულია ქუჩა.



— ხედავ, დათუნა, რა მომადრეკებელია ღამის სილამაზე?! —

— დღეც ხომ ლამაზი იქნებოდა? — კითხულობს დათუნა.

— რა თქმა უნდა! ისე, რასაც კი შეხედავ, ყველაზე ჩვეულებრივს, ათასჯერ ნანახსაც კი, ყველაფერში შეიძლება სილამაზე დაინახო, ნამდვილად ყველაფერში, ძველ დასანგრევ სახლშიც კი. თუმცა, ისიც მართალია, რომ ეს სურათი, რომელსაც ახლა ვუყურებთ, აღარასოდეს განმეორდება.

ჰოდა, სანამ ის ღრუბელი-ცხენი სადღაც თავის საქმეებზე გაემურებოდა, მანამდე ამოვიდე ქაღალდის სუფთა ფურცელი და ბურთულიანი ავტოკოლმისტრით ჩახატე ქუჩაც, სახლებიც, წერილ-წერილი ვარსკვლავებთი მოჭედილი ცაც, ცის შუაგულში მობრდობილედ მთვარეც და, მის თავზე — გაფრენილი ცხენიც. იქვე ქუჩაში გაჩერებული ორი მუქი სილუეტიც მოვათავსე — ხელიხელჩაკიდებულნი დგანან და მთვარეს შეკურებენ...

მეორე დღესვე ქაღალდის ის ფურცელი ჩემს მგობარ მხატვარს მიეუტანე, იქნებ სურათის თემად გამოდგეს-მეთქი. მხატვარმა დახედა ჩანახატს, თავისთვის რაღაცაზე ჩაიციხა — არც „მო“ უთქვამს და არც „არა“, და დღემდე სურათი არ დაუხატავს. ისე კი, თუ როდისმე გამოფენაზე მსგავსი სურათი შეგხვდათ, გეცოდინებათ უკვე, რომ მის შექმნაში პატარა წვლილი დათუნასა და მეც მიგვიძღვის.

... ბესიკი და დედა კინოდან დაბრუნებულები დაგხვდნენ შინ. ძალიან სუსტი ფილმი ვნახეთ, დრო ტყუილად დავკარგეთო.

მე ამაყად ვთქვი:  
— დათუნა, მართალია, გაკვეთილი გაგვიცადა, მაგრამ ჩვენ ხომ მაინც არ გვივლია უქმად? გავისეირნეთ, რამდენ რამეზე ვისაუბრეთ, ბევრი რამეც ვნახეთ... მარტო ღრუბელი-ცხენის სანახავად ღირდა წასვლა!

— იცი, მართლა რა ლამაზი სურათი იყო! მამიკომ ჩახატა კიდევ! — დათუნამ ჩემი ნახატი დაღო მაგიდაზე, ცოცხლად აღწერა ყველაფერი.

ბესიკიც და დედაც მაშინვე იფანზე გავარდნენ, მაგრამ ვეღარაფერი იხილეს — ღრუბელი-ცხენი კარგა ხანია სადღაც გაჭენებულიყო, მთვარეც კი აღარ ჩანდა, ისეთ შავ-შავ მოძალებულ ღრუბლებში ჩაკარგულიყო, ვერც მიხვდებოდი, სად იმალებოდა.

# პანგაუი

პირობი შუთაპარკი

ზოციერთი ფრინველის,  
ზოციერთი ცხოველის  
ძთა და ბარში ველარსად  
ველარა ვართ შწოვნიელი.  
ხოლო ზოგი მათგანის —  
ცხოველის თუ ფრინველის,  
ზოთაზარეში აქა-იქ  
თუ ვართ მხოლოდ მხილველი...  
ზოგი ნადირ-ფრინველის  
რიცხვი ისე კლეპულობს, —  
„წითელ წივნი“ ჩანს მათი  
მცირედა სკარებულა.  
ზოგი ნადირ-ფრინველი —  
ვით ფაუნის მშვენება  
გადაშენდა, ან უკვე  
ელის გადაშენება.  
და რაც გადაშენდება,  
სამუდამოდ მოკვდება,  
იგი ჩვენს ზღანეტაზე  
აღარ განმეორდება.  
ის გვისსლტება ხელიდან  
უკან მოუბრუნებლად,  
და ასე სულ თანდათან  
ღატაკდება ბუნება.  
დროა, სმა ავიმადლოთ,  
მხარში ვედგეთ ბუნებას,  
თორემ მას საბოლოოდ  
ელის განადგურება.  
შეკმლოთ მის დასაცავად  
სადი კზების მიცნება,  
დღესვე! დღესვე! თორემ ხვალ,  
ხვალ გვიანი იქნება!

შატავარი ლალი ლომთაძე







## ბავშვების კლანთა

მხატვარი ზაურ დიხაძე

იყო ერთი შესანიშნავი ადამიანი — მფრინავი და მწერალი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი. იგი იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ და დაიღუპა სამაჟრო ბრძოლის დროს, თავისი სამშობლოს — საფრანგეთის განთავისუფლების წინ.

1942 წელს ეკზიუპერიმ დაწერა თავისი ერთადერთი წიგნი ბავშვებისათვის „პატარა უფლისწული“, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

ეს ზღაპარი მოგვითხრობს, თუ როგორ მოგზაურობს ცოტათი გრძნეული ბიჭუნა პლანეტიდან პლანეტაზე მეგობრების საპოვნელად და საერთოდ ადამიანებისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობის გამო.

ერთ-ერთ პლანეტაზე ბიჭუნა შეხვდა და დაუმეგობრდა მელას. მელა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ ვარსკვლავეთის პრინციდან მალე მოუწევდა განშორება, მაგრამ დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მაინც

სთხოვა ადამიანს: „გეთავა... მომაშინაურე“. განშორების წინ კი უთხრა უფლისწულს: „შენ სამუდამოდ პასუხს აგებ მათ წინაშე, ვინც მოაშინაურე“.

იური გაგარინი წერდა „პატარა უფლისწულის“ შესახებ: „წიგნი სავსეა პოეზიით, ფრენის რომანტიკითა და ადამიანის სიყვარულით“. უმაღლესი კლასის მფრინავი, პირველი კოსმონავტი, ორი გოგონას მამა, მრავალი წიგნის ავტორი იური გაგარინი, სხვაგვარად ვერც იტყობა ეკზიუპერის ნაწარმოების შესახებ.

დიახ, მეტად მნიშვნელოვანია, როდესაც ორ პატარა პლანეტაზე ან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობს ორი მეგობარი და ფიქრობს ერთმანეთზე, თუნდაც ესენი იყვნენ მელა და უფლისწული, ან გოგონა და ბიჭუნა, ან გოგონა და სახელმწიფოს მეთაური.

მე წავიკითხე ნორჩ მკითხველთა ბევრი წერილი და მივედი დასკვნამდე: ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც და-

საბამიდან აწუხებს ყველას, ეს არის კაცობრიობის მომავალი — მშვიდობა. როგორც ისტორიამ დაგვანახა, მშვიდობისათვის საჭიროა ბრძოლა.

ექსიუპერიმ დიდებისთვისაც დაწერა წიგნები, მათ შორის — „ადამიანების პლანეტა“. ეს არის გულახდილი საუბარი მეგობრობაზე, სიკეთეზე, სინათლეზე, ჩვენი პლანეტის სილამაზეზე, — იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ამ ქვეყნად.

მოდით, განვახილოთ სენტ-ექსიუპერის აზრი: დედამიწა ბავშვების პლანეტაა — მათი რიცხვი ერთნახევარ მილიარდს უდრის. პატარა უფლისწული კი ეუღლად გრძნობდა თავს თავის პლანეტაზე და სხვა პლანეტებზეც, სადაც მოგზაურობდა უცნაური საქმეებით დაკავებულ უცნაურ ადამიანებს შორის. მხოლოდ მელას ესმოდა უფლისწულისა და

კიდევ — მფრინავს, რომელიც იძულებით დაფრინდა უდაბნოში...

მაგრამ ეს ხომ ზღაპარია.

ერთნახევარი მილიარდი ბავშვი, ისეთები, როგორც ექსიუპერის გამირია! ძნელია სხვაგან წარმოიდგინო ქალაქი, თუნდაც სახელმწიფო — მილიარდი ბავშვით დასახლებული. დიახ, დედამიწა არის განსაკუთრებული, ერთადერთი პლანეტა სამყაროში — ბავშვების პლანეტა. ბავშვები, როგორც ცნობილი წიგნების პერსონაჟები, თამაშობენ, ცდილობენ ახლის გაგებას, ეძებენ ერთგულ მეგობრებს, ფიქრობენ: რა იქნება შემდეგ? და რწმუნდებიან, რომ ბოლოს და ბოლოს კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს — ეს ყველაზე მნიშვნელოვანია დღეს; და კიდევ — მეგობარი ყოველთვის მხარში უნდა ედგეს მეგობარს.

## შუადღი

### ლალი ჯაფარაშვილი

უცებ ჩადგა  
ქარი,  
მკრე ზვირთიც  
ჩაცხრა,  
მზე გალადღა  
ცაზე,  
უსამუკლოდ  
დაცხა,  
ქარმა ნახა  
ჩერო,  
ბებერ თხემლებს  
შუა  
და შუადღის  
ხვატში  
თვალი მოატყუა.



## ძათირო ფსოვავლიფვილი

მდინარის პირებია, საძოვრებითა და ტყით სავსე. მამაჩემისა და მისი მეგობრების ცხვრის ფარაც აქვე დგას, მთის ძირას. მამა ჩვენს დასახელად ხშირად ამოდის სოფელში თავისი თეთრი ცხენით. სანამ ჩვენთან არის, ხან ტყეში დავდივართ, ხანაც ცურვას მასწავლის მდინარეზე.

დედაჩემი ხშირად საყვედურობს: — ჯერ პატარაა, ნუ დაატარებ აქეთ-იქეთ, რაიმე ხიფათს არ გადაეუაროთ; გაიზრდება და მაშინ ისწავლის ყველაფერსო.

— მოზრდილს უფრო გაუჭირდება, ქალო. აქედანვე უნდა ისწავლოს ყოველივე.

ერთხელაც, მამაჩემის წასვლის შემდეგ, კარგად რომ ჩამოცხა, უბნის ბიჭები მდინარისაკენ დავიძარით. კარგა ხანს ვიჭყუშმალავეთ, მერე ამოვედით და ჩამოფერდებულ მიწაზე დავსხედით მზეში. ზოგი ჯერ დამჯდარიც არ იყო, რომ ტოტების ლაწალაწი მოგვესმა.

— დათვი! იყვირა ჩვენში ვილაცამ, დაფეთებული წამოვცვივდით და სოფლისაკენ მოვკურცხლეთ.

ფერდობის თავს რომ მივალწიეთ, უკან მივიხედე: წაბლა დათვი ტყის პირას გამოსულიყო, არხეინად იდგა და დამფრთხალ ბიჭებს გვიცქეროდა.

ერთხანად აცახცახებული შევედი ეზოში. ხეზე მამაჩემის ცხენი იყო მიბმული. დედაჩემმა ღია კარიდან შემნიშნა, ეტყობა, არ მოვეწონე და შემკრთალმა გადმომძახა:

— რა ამბავია, ბესო, შენს თავს, ხომ არ იჩხუბე, ბიჭო?!

არა-მეთქი, ვუთხარი და ჩვენს შემშინებელზე ვუამბე.

მამაჩემი შიგნით ტახტზე იყო მიწოლილი. სათქმელს რომ მოვრჩი, წამოდგა,

ცოტა ხანში უკანვე ამობრუნდა, ნახევრად სველი.

— რა ქენი? ვერ ნახე? — ჰკითხა დედაჩემმა.

— ვიპოვე, სად დამემალებოდა. პირდაპირ ბუნავთან წავადექი.

დედაჩემს თვალები გაუფართოვდა უშიშით.

— ორი ბელი ჰყავდა, ათამაშებდა და... მოკლედ, ვერ გავიმეტე სასიკვდილოდ.

დედა აიმრიზა: მაგ ამყრალებულს და კაციჟამიას შეაგნებინებ სიკეთეს? თუ ვინმე ჩაუვარდა, მერე მტრისას...

მამამ მკაცრად შემომხედა, — აღარ დაგინახო ტყეში ან მდინარეზე წასულიო.

ძალიან ვინანე, რომ ეს ამბავი დედაჩემს ვუამბე. ვიღრე მამაჩემი სახლში დარჩა, გარეთ აღარ გამიხედია.

მერე კი გიყვარდეს! სახლში რა გამაჩერებდა. მაგრამ ბიჭების ამბავი არ იცით, მაინც იქ დავრბოდით საბანაოდ, სადაც







მამჩემმა ავჯიკრძალა. ერთი კია, უსაფრ-  
თხოებისათვის ასეთი რამ გამოვიგონეთ:

ფერდობის თავზე, საიდანაც ტუე კარ-  
გად მოჩანდა, რიგრიგობით ერთ-ერთი  
უნდა დავმდგარიყავით გუშაგად და სა-  
შიშროება სტვენით უნდა გვეცნობებინა  
სხვებისათვის.

ერთხელ ჩვენმა გუშაგმა სტვენა დაიწ-  
ყო. ყველანი ფერდობზე ავცვივდით.

ვხედავთ: წყალთან ახლოს ორი ბოხ-  
ვერა პატარა ბელი დამუხმულებს. დიდი  
დათვიც იქვე ტრიალებს, მერე მივიდა  
ერთთან, თათებით კარგად მიბერტყა და  
ხის ძირას მიაგდო. მეორე ქვემოთ დაით-  
რია, წყალში შეიყვანა და ცურვის სწავლა  
დააწყებინა.

დათვი უკვე ღრმად იყო შესული მდი-  
ნარეში, რომ ნაცემი ბელი წამოადგა და  
წყალში თამამად შევიდა. უმწეომ ვერ  
გაუძლო ჩქერის ძალას და წაიქცა. წყალ-  
მა კი მაშინვე გადააკოტრიალა და თავქვე  
გააქანა.

დათვმა მოიხედა უკან, დაინახა, რომ  
ბელი წყალს მიჰქონდა, გაჩერდა და შემ-

წარავი ღრიალი მორთო.

უცბად თითქოს რაღაცამ მიზმგანაწმენდა  
გილს მოვწყდი, ფერდობზე დავეშვი და  
წყალში გადავხტი. გატაცებულ ბელს წინ  
გადაველობე. ხელები ჩავავლე და ძლივ-  
ძლივობით ნაპირზე გამოვიყვანე, დავსვი  
და შეშინებულმა ისევ ბიჭებისაკენ მოვ-  
კურცხლე. ბიჭებს ფერი აღარ ეღოთ, და-  
ძაბულნი მომჩერებოდნენ. დათვი კარგა  
ხანს იღგა შუა მდინარეში მეორე ბელით.  
მერე გამოვიდა წყლიდან, ბელი მიწაზე  
დასვა და იქაურობას თვალი მოავლო.  
ერთი დაიბურტყუნა და ურჩი ბელისაკენ  
წავიდა. მისვლისთანავე თავში გამეტე-  
ბით წაუთაქა, მერე წინ გაიგდო, მეორეც  
გამოიყოლა და ტყისკენ გასწია.

კარგა დრო რომ გავიდა, მამაჩემი  
ისევ ამოვიდა სოფელში.

— კიდეც დადინარ, ბიჭო, საბანაოდ?  
— უნდობლად მკითხა.

— ეხ, მაგის გაჩერება შეიძლება?! —  
დაიწუწუნა დედაჩემმა.

მამამ სახე გაიმკაცრა:

— გეუო საუვედურები, ახლაც, აქეთ  
რომ წამოვედი, ტუე გამოვიარე, დათვს  
ძველი ბუნაგი დაუგდია — ან მონადირეს  
მოერიდა, ან იქნებ თავისით მიატოვა.

— ამ სოფელში მონადირე შენს მეტი  
არავინ მეგულება, სხვა ვისი უნდა შეში-  
ნებოდა?

მშობლების საუბარს რომ ვუსმენდი,  
მელიმებოდა. რაც ის ბელი გადავარჩინე,  
დათვისა და ბელების ხმაც კი აღარავის  
გავვიგონია.

მამაჩემთან მივედი და ყველაფერი  
დაწვრილებით ვუამბე.

მამაჩემმა კისერზე მომდო ხელი და  
მითხრა: — ბელი რომ გადავარჩინია,  
შვილო, დათვს თქვენთვის თავისუფლება  
მოუცია. ახლა არც ის და არც მისი ნაშიე-  
რი მაგ მხარეს აღარ გაეკარებინან. ასეთია,  
შვილო, სიკეთის ძალა!

# ლაპა



მივესალმით ლამას —  
 ირემივით ლამასს!  
 უუვარს ლამას თივა,  
 სმელი თივა ჭამა!  
 ქორბუდა რქა რა უუო,  
 თუკი გვეტევის ამას,  
 თივას ვაჭმევთ ლამას,  
 ირემივით ლამასს!  
 ცური რომ აქვს ლამასს,  
 ნეტავ, ვინმე წველის?  
 და, თუ წველის, რმიდან  
 თუ ამოჭეავს ეველი!  
 სხვებს თუ უუვართ ღომი,  
 ანის უუვარს ლამა!  
 ეფერება ღამას,  
 ირემივით ლამასს!



# ლილი



— მარწუვი მინდა, მარწუვი!  
 მარწუვი მინდა, მარწუვი!  
 — მარწუვი! მარწუვი! მარწუვი! —  
 ამდენ ხალხში მარცხვენ!  
 — ვაშლი მინდა, ვაშლი!  
 ვაშლი მინდა, ვაშლი!  
 — ვაშლი! ვაშლი! ვაშლი! —  
 მარცხვენ ამდენ ხალხში!  
 — მსხალი მინდა, მსხალი!  
 მსხალი მინდა, მსხალი!  
 — შენ გიუერებს ეველა,  
 კაცია თუ ქალი!  
 ნაიდი მაქვს, გოგო,  
 ესეცა და ისიც!  
 რა იუიდოს — დედამ  
 შენსე ნაკლებ იცის?  
 — ნესვი მინდა, ნესვი!  
 ნესვი! ნესვი! ნესვი!  
 — კვანს ეიდულობ ნესვად,  
 ამდენ ხალხში შერცხვი!  
 მეც ბევრი რამ მინდა,  
 ჩემო კარგო ლილი!  
 მაგალითად, მინდა,  
 მუაუდეს კარგი შვილი!



# მოგზაურობა სოფელში


მიმაქროლებს მანქანა,  
 ეს რა კარგი დღე არი,  
 თითქოს ფრთები მესხმება,  
 მივალ გუგუნ-გორილით.  
 ფრთებს ისხამენ ხეებიც,  
 მომეყვებიან შრივლით,  
 სოფლად მივგორილდები,  
 ზაზა, ალბათ, მინ არი.  
 სხვებსე უკეთ მან იცის,  
 რა მიზიდავს, რა მიუვარს,  
 დამსვამს ურმის კოფოზზე,  
 სამწუვესურში წამიყვანს.  
 იქ ნაცნობი ბიჭები  
 შემხვდებიან კაცურად,  
 ვინაჲარდებთ, ვისტუნებთ,  
 მდინარეში ვაცდურავთ.  
 მიმაქროლებს მანქანა,  
 მაგრამ ისევ აქა ვარ,  
 განა მართლა მივექრი,  
 ვმოგზაურობ ფიქრით.



თქვენი საყვარელ პოეტს ნოღარ შამანაძეს შუენ-  
 რულად დაბადების 60 წლისთავი. შურნალი „ღი-  
 ლა“ რედკოლეგისა და თქვენი სახელით უღმრთესი  
 ცავს ბატონ ნოღარს ბედნიერ თარიღს!



მხატვარი ვაჟა უჩახული



## ყველა კეთილ მეზობელთან

ზემო ქართლი, ქვემო ქართლი,  
 შუა ქართლი ქართულია,  
 გორგასალის ციხე-კოშკი  
 ეველგან წამომართულია.  
 გამარჯვებულ თამარ მეფეს  
 აქ შეიძით გავუვლია.  
 მტერს გოჯ მიწას დაუთმობო,  
 ფიქრადაც არ გავუვლია.  
 ქართველ გლეხკაცს უშრომია,  
 რქებდაგრეხილ ხარებიანს,  
 ბდი აუევავებია,  
 ვახი გაუხარებია.  
 ზემო ქართლი, ქვემო ქართლი,  
 შუა ქართლი ქართულია,  
 ეველა კეთილ მეზობელთან  
 მძობა ნებადართულია.



ინდოელი სტუდენტი ქალაქ ალაბაბადიდან — ატულ რანჯანი თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტის სტუდენტია, მაგრამ გატაცებულია ლიტერატურით: ინდოელში მას უკვე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ლექსი და მოთხრობა. მისი მშობლიური ენა არის ინდოეთის სახელმწიფო ენა — ჰინდი. ატულს უყვარს საქართველო და სურს, რომ ქართველ ბავშვებს გააცნოს იგავ-არაკი, რომელიც მან თბილისში დაწერა.



## ლომი და ბებერი თხა

ატულ რანჯანი

დიდ, ლამაზ ტყეში ცხოვრობდა ერთი ლომი. როცა დაბერდა და სიბრძილი აღარ შეეძლო, ძველებურად ველარ ნადირობდა. თუ რომელიმე ძლიერი ცხოველი გამოჩნდებოდა, შეშინებული თავს სადმე შეაფარებდა ხოლმე. გადაწყვიტა, მდინარის პირას დაედო ბუნაგი. როცა აქ წყლის დასალევად ცხოველი გამოჩნდებოდა, თავს ესხმოდა და დამსუეულ მუცელს ასე იყოთავდა. სიხსამ დილით ისევე მშვირი დგებოდა და მდინარის პირას დაძუნძულებდა.

ერთხელ, როცა ბებერი ლომი შიმშილი-საგან დაღვრემილი ნაპირზე იჯდა, მას კუ-

და-მელა გამოეცხადა. ლომმა მოკრძალებით მიმართა მელას: — «ძმაო მელავ, მოდი ჩემთან, ნუ გეშინია, არ შეგჭამ. მაინც ტყეილ-უბრალოდ დაძრწიხარ და მოდი, ერთ საქმეში დამეხმარე». შიშით აკანკალებული მელა ლომთან მივიდა. ლომმა მელა გვერდზე დაისვა და უთხრა: « — ეჰ, დავებრდი, ძმაო, ძალ-ღონე გამომელა, ნადირობის თავი აღარა მაქვს, ამიტომ დღეში ერთხელ ნანადირევი შენ უნდა მომიტანო. სამაგიეროდ შენ ჩემი მეგობარი იქნები და ტყეშიც ჩემს მაგიერ შენ იმეფებ». რა გაეწყობოდა, გასაცოდავებულმა მელამ ლომს თანხმობის ნიშ-

ნად თავი დაუქნია და უთხრა: — ძმავ ლომო, მაშინ საბუთიც მომეცი იმისა, რომ ტყვეში ყველა ნადირმა მე დამოჯეროს, თანაც ზედ აღუნუსხავ, რომელ დღეს რა ნადირი გამოვიგზავნე.

ლომმაც მისცა მელას საბუთი.

მელა ტყის სიღრმისაკენ მიიწევდა და ყველა ცხოველს აფრთხილებდა, ხვალ მდინარესთან ყველაზე მაღალ ბორცვზე ვიკრიბებით, მოსვლა სავალდებულოა — ტყის მეფე ჩვენს წინაშე სიტყვით უნდა გამოვიდესო.

მეორე დღეს მაღალ ბორცვზე ყველა ნადირმა მოიყარა თავი. ლომი არ გამოჩენილა. მელამ დამსწრეთ გამოუცხადა — ლომის სურვილია, ყოველ დღეს ერთ-ერთი თქვენგანი მოვიდეს და მას სამსახური გაუწიოსო.

მართლაც, ყოველდღე რომელიმე ნადირი მოდიოდა მდინარის პირას და ჩასაფრებული ლომი ყოველ მათგანს სანსლავდა. ხანი გავიდა და ტყვეში თითო-ორთა ნადირიღა დარჩა; მაშინ კი გონს მოეგუნ ცხოველები,

— ასე ხომ ყველანი ამოვწყვდებით, ეს ნამდვილად მელას თინები იქნებაო.

პოდა, ცხოველებმა ლომის მოიყარეს თავი. მალე გამონდა გრძელწვერა თეთრი თხაც. თხამ დაინახა, რომ ლომი კურდღელს მიერთმევდა, ირგვლივ სხვა ცხოველების ძვლებიც ვყარა. გვერდით კი არხენინად იჯდა მელა. ბებერი თხა ყველაფერს მიხვდა, ლომს მოუახლოვდა და უთხრა: — «რამდენი წელიწადია ამ ტყვეში გიძებ. როგორც იქნა, გიპოვნე!» თეთრწვერა, რქებიანი თხა რომ დაინახა, ლომმა იფიქრა, ჩემს ძებნაში დაბერებული და რაღაცას მიპირებს, ეტყობა, ჩემზე ღრინიერიაო. იგი შიშმა აიტანა, კუდამოქუებული იქაურობას გაეცალა და იმ ტყვეში აღარასოდეს გამოჩენილა. მელა კი ცხოველებმა მაგრად ჩათუთქვეს; მერე ყველამ თავის ბუნაგს მიაშურა.

ამაზეა ნათქვამი — სხვას ორმოს ნუ ამოუთხრი, თორემ შენ თვითონ შიგ ჩავარდებიო.

პირდი ენიდან თარგმნა ნიკოლოზ კახოვსკილამ

## პატარა პნარმული

ათარ ჯიჯარანი

იცით, ეველასე ადრე გავიღვიძე ამ დილით, თავზე დედიკოსავით წავიკარი მანდილი. დიან, დღეს მე ვიუაზო შხარეული ნამდილი, გაუჩაღე ქურა და დავაშხადე სადილი. რომ გასინჯა მაშეკომ, თუკინდ ჰკითხეთ ბებიას, მითხრა: — შვილო, ამ მკადსე შენი კოსტა სელია? უოჩად, ეველა სადილსე უურო გემრიელია!



მხატვარი ელზარ ამოკაძე





## ჩვენი ოთხკუთხედიანი მებოვარი

ჩემო პატარებო, ყველას გინახავთ გაზაფხულსა და ზაფხულში მცენარეთა ყვავილებში მოფუსფუსე ფუტკარი, გიგმნიათ მისი დაუღალავი შრომით მოწეული სურნელოვანი თაფლი, განსაკუთრებით კი, ალბათ, თაფლითა და ნიგვზით შემზადებული სახალწლო გოზინაყი მოგწონებიათ, მაგრამ არა მგონია ყველამ იცოდეთ, თუ როგორ ამზადებს ფუტკარი თაფლს ან სხვა რა სიკეთე მოაქვს ამ დალოცვლილ მწერს ადამიანებისათვის. მას მომისმინეთ.

ფუტკარმა რომ თავის ბუდეში — სკაში ზამთრის სამარავს თაფლი დააგროვოს, ამისათვის საჭიროა სხვადასხვა თაფლოვან მცენარეთა ყვავილებს ესტუმროს და მათი სანექტრებიდან თავისი გრძელი ხორთუმიტ ამოწუნოს სურნელოვანი ნექტარი. როდესაც ფუტკარი სათაფლე ჩიჩხვს ნექტრით გაივსებს (რისთვისაც ის უნდა ეწვიოს დაახლოებით 400-500 ყვავილს), სკისკენ გაფრინდება და ნექტარს ფიჭის უჭრედებში მოათავსებს. ერთი კილოგრამი თაფლის შესაგროვებლად ფუტკარს ორ მილიონამდე ყვავილის ნექტარი სჭირდება.

ნექტრის შეგროვებისას ფუტკარი ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადის და

ტანის ბუსუსებით თან გადააქვს ყვავილის მტვრის წვრილი მარცვლები, რომლებს ხელს უწყობს მცენარეთა ჭვარედინი დამტვერვას. ეს კი საგრძნობლად აღიძვებს მოწეულ მოსავალს, ამისთან ხილი და ბოსტნეული უფრო მსხვილი და გემრიელი იზრდება.

სურნელოვანი თაფლის გარდა ფუტკარი გვაძლევს ხანთელს, ფუტკრის წებოს — დინდგელს, ფუტკრის დედის რძეს; სპეციალური „საწველი“ აპარატების მეშვეობით მეფუტკრეები აგროვებენ ფუტკრის შხამს, ხოლო ყვავილის მტვრის დამჭერი ხვრელებიანი მოწყობილობით — ყვავილის მტვრის მარცვლებს. ყველაფერი ეს ძვირფასი საკვები და ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებია; ფუტკრის ხანთელს წარმატებით იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში; იმ ეკლესიებში, სადაც „წმინდა ხანთელი“ არ დაინთება, ნამდვილი ღვთისმსახურება არ შედგება.

ძალზე სასარგებლოა ადამიანისათვის საფუტკრეში ყოფნაც — თაფლის და ფუტკრის სხვა პროდუქტების სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი ჭანმრთელობის განმტკიცების უძებარი საშუალებაა;



სადაცაა სურნელოვანი თაფლი



ამიტომაც არის, რომ მეფუტკრეები სხვა პროფესიის ადამიანებთან შედარებით დიდხანს ცოცხლობენ და ღრმა სიბერეშიც ხალისიანად განაგრძობენ თავიანთ საქვარელ საქმიანობას.

ამდენ სიკეთესთან ერთად ფუტკარმა მწარე დანესტვრაც იცის, სწორედ ამაზე ითქმის: „ვარდი უქედლოდ ვის მოუწყვეტიაო“. უნდა იცოდეთ, რომ ფუტკარი მხოლოდ მაშინ ინესტრება, როცა მას უხეში მოპყრობით ან მისთვის არასასიამოვნო სუნით — ოდეკოლონის, ნივრის, ოფლის სუნით გააღოზიანებთ.

ფუტკრის დანესტვრამ არ უნდა შეგაშინოთ — ფუტკრის შხამი, თუ ის თქვენში აღურგავს არ იწვევს, ძალზე სასარგებლო ორგანიზმისათვის. დანესტრილი ადგილიდან ნესტარი ორი თითით არ უნდა ამოიძროთ, რადგან ასეთნაირად უფრო მეტ შხამს შეიძვანთ ორგანიზმში; ნესტარი ფრჩხილის წაკვრით ან დანის პირით უნდა მოცილოთ და დანესტრილი ადგილი სპირტით ან მარგანეცის ხსნარით

მოიწმინდოთ.

ბავშვებო, იმედია ჩვენი სამსახურის შემდეგ ბევრ თქვენგანს აღედგრება სურვილი, უფრო ღრმად გაეცნოს ფუტკრის ოჯახის ცხოვრებას. ამაში დაგეხმარებათ შემდეგი წიგნები: ა. წულაძის „დედა ფუტკრის ნამბობი“, ი. შაბარშოვის „ნორჩი მეფუტკრის ცნობარი“, ა. ლოლუას „ფუტკრის ნობათი“ და სხვა.

ხოლო თუ პრაქტიკული მეფუტკრეობის ანბანის შესწავლას განიზრახავთ, მოგვწერეთ თქვენი აზრი და ამის შესახებ შემდგომში ვისაუბროთ. მაგრამ აქედანვე უნდა იცოდეთ, რომ ფუტკართან მუშაობა არც ისე ადვილია. როგორც ყველა საქმიანობაში, აქაც საჭიროა სათანადო ცოდნა და შრომა; სამაგიეროდ, ფუტკრის ოჯახის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლით, ფუტკართან პრაქტიკული ურთიერთობით, თქვენ გაიფართოვებთ ცოდნას ბუნების შესახებ, უფრო დაკვირვებულნი, გამჭრიახნი და შრომისმოყვარე გახდებით.

## მელა და ზღარბი

გარინა ხუციშვილი

— ზღარბო, ზღარბო, ზღარბუნა,  
 ეკლები ვინ გარგუნა?  
 ნამვის ძირას იწეკი და  
 მოგვწება წიწვები?  
 — ხუმრობ?! რისი წიწვები,  
 სიცხისაგან ვიწვები —  
 ამოდენა ქურქი  
 დამაქვს მუდამ ზურგით.  
 — მერე, ამდენს რატომ ითმენ,  
 ვერ დაისხნი მარწუსებს?  
 — ჩემო ნათლი, შენ რომ მიკებენ,  
 უფრო არ შემაწუსებს?!



მხატვარი: მელა და ზღარბი



## ვინც საწოლქვეშ ცხოვრობს

ბაბა კანელაკი

მე რომ პატარა ვიყავი, ძალიან მეშინოდა იმისი, ვინც საწოლქვეშ ცხოვრობს. ძილის წინ ყოველი მხრიდან ვიკვცავდი საბანს, სუნთქვა მეკვროდა, ყურს ვუგდებდი საწოლქვეშეთს, რომ იმის ხმა არ გამეგო, იქ კი სულ საშიში სიჩუმე იყო. მაშინ რომ ჩემთვის ეთქვათ, რასაც გინდა შეგისრულებთ, თეთრი გემის კაპიტნადაც კი ვაგახდით, ოღონდ საწოლქვეშ შეიხედეთ, არ შევიხედავდი. ძალიან მეშინოდა. არ ვიცოდი, როგორი იყო ის, ვინც ჩემი საწოლის ქვეშ ცხოვრობდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც სახარელი, ბოროტი რამ იყო. აბა, კეთილი სული იმ სიბნელეში რატომ დაიმალებოდა? თანაც ხმას არ იღებდა...

არა, ნამდვილად რაღაც საშინელებაა, — ვფიქრობდი მე, — ალბათ რქიანია და იმ მგლისნაირი თვლები აქვს, წითელქუდა რომ შეჭამა, იქნებ ღვევივით ბანჯგვლიანიც კი იყოს!

ასეთ საშინელ ფიქრებში გართულები, ძლივს ვიძინებდი.

ერთხელ ისე შემეშინდა, ისე ძალიან შემეშინდა, რომ ავდექი. და მაგიდაზე და-

ვიძინე. მართალია, მაგიდა მაგარი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, უშიშრად და მშვიდად ვიყავი.

ღამით მაინც რაღაც უცნაურმა ხმამ გამადვიდა, წამოფეკეი მაგიდაზე და ყური მივუგდე. მესმის — თითქოს აქვე, ჩემს ოთახში ვიდაცა წვრილზე წვრილი ხმით ტირის. წამოვხტი და სინათლე ავანთე. ოთახში არავინ იყო და სასწაული! ტირილის ხმა აშკარად საწოლქვეშედან ისმოდა, ის უცნობი საშინელება გულამოსკვნით ქვითინებდა. თვალედაჭყეტილი და პირდაღებული ვიდექი და მივჩერებოდი საწოლქვეშეთს. და მოულოდნელად დავიხახუ: იქიდან გამოვიდა... არა რაღაც ბანჯგვლიანი და რქიანი, არამედ ბანცალ-ბანცალით და ტირილ-ტირილით... პაწაწინა, ყვითელი წიწილა! გაოცებისაგან ხმა ვერ ამოვიღე, მოცელილივით დავეცი სკამზე და წიწილას მივაშტერდი. საბრალოს ტირილით ისე ამოუჯდა გული, რომ სლოკინი დააწყებინა. როცა გონს მოვეგე, კვითხე, ვინა ხარ-მეთქი, მან ფრთებით ცრემლები მოიწმინდა და მითხრა: — მე კიკიკო ვარ. მე შენი კიკიკო ვარ. ყველა

ბავშვს ჰყავს თავისი კიკიკო და ყველა თავისი ბავშვის საწოლის ქვეშ ცხოვრობს.

ძალიან დავიბენი, თან შემერცხვა, საწოლის ქვეშ რაღაც საშინელება მეგონა და თურმე წიწილები კი ცხოვრობენ.

— არა, არა, ჩვენ წიწილები კი არა ვართ, — სლოკინით მითხრა კიკიკომ, — მე იმიტომ ვგავარ წიწილას, რომ შენი ვარ, შენ კი ყველაზე მეტად წიწილები გიყვარს.

აჰა, ყველაფერი გაირკვა: თურმე ყველა ბავშვს ისეთი კიკიკო ჰყავს, როგორც ყველაზე მეტად გაეხარდება; ზოგი ბავშვის კიკიკო პატარა ბაჭიას ჰგავს, ზოვის კიდევ — მხიარულ ლეკვს, ერთი კიკიკო — ჯუჯას, იმიტომ რომ იმის ბიჭუნას ჯუჯები უყვარს.

გახარებულმა ხელი დაგტაცე ჩემს კიკიკოს და კოცნა დაუწყე. — რატომ აქამდე არ დამენახე-მეთქი, — ვეუბნებოდი. — ნუ იტირებ, ამიერიდან აღარ გაწყენინებ და მაგიდაზე აღარ დავიძიბებ-მეთქი.

— ჩვენი დანახვა არ შეიძლება, — წიფწივით მითხრა კიკიკომ, — მე იმიტომ გამოვედი, რომ დაგემშვიდობო, — ეს თქვა და ისევ ატირდა — ოჰ, ოჰ, რა უბედური ვარ. რატომ დაიძინე მაგიდაზე. მე ხომ უშენსიზმრებოდ ვერ ვძლებ. კიკიკო არცა ჭამს და არც სვამს, სიზმრებით საზრდოობს... შენ კი მთელი სიზმრით მაგიდის უჯრაში ჩაყარე. მე ძალა მეცლება, მალე სულ გავქრები... ოჰ, ოჰ, დათვლილია ჩემი წუთები...

მაშინ მე შევვხვებწე ძილის ბატონს: — ოღონდ ახლა მაჩუქე ისეთი სიზმარი, ჩემი კიკიკო რომ გადარჩეს და ხვალ ღამით, თუნდაც დევები დამენიზმროს, ყველას შევებრძოლები-მეთქი.

ძილის ბატონი კეთილია, იმის ნაჩუქარ სიზმრებში ხან მალდა, ცაში და-

ურინავ, ხან ყოვლისშემძლე ლტოლს თევზი ვარ და ხან დიდი, თეთროტი ბიანი გემის კაპიტანიც კი. მაჩუქე კეთილმა ძილის ბატონმა სიზმარი. მაშინ მე სასწრაფოდ ჩავწექი საწოლში და სასწრაფოდ დავიძინე, რომ კიკიკოსთვის სიზმარი მენახებინა. მართლაც იგი მალე გამოკეთდა და მხიარულად ჭყლოპინებდა საწოლქვეშეთიდან. აბა, რა იქნებოდა, როცა სიზმარში მე და ჩემი კიკიკო ცისარტყელაზე ვსრიალებდით, ცივად კი თეთრი, ქულა ღრუბელი გვქონდა.



## პამიდორი

უჭირდა პამიდორს ამ ქვეყნად. გასული საუკუნის დასაწყისშიც კი ადგილ-ადგილ ბოროტ მცენარეს ეძახდნენ. დღემდე მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს ვემოც არ გაეხინჯა მისი — თვით სამხრეთ ამერიკაში, რომელსაც პამიდორის სამშობლო ჰქვია.

მაგრამ მოხდა სათერება, ბოსტნეულის რიგში ბოლო ადგილიდან პამიდორმა სულ თავივე გადაინაცვლა. იგი ბოსტნეულის კლესპატრადაც კი მონათლეს. როგორც ძველი ეგვიპტის ცნობილი დედოფლის — კლესპატრას მიმზიდველობას ვერ უძღვებდა ვერავინ, ასევეა პამიდორიცო. დილით მდინარეებზე შედის ბაზარში, საღამოს კი თითქოს წითელ წვეთებადლა შეინიშნება აქა-იქ.

პამიდორს სხვადასხვანაირად უწოდებენ, შეისწავლიან, მაგრამ მიზანი ერთი აქვს ყველას: რაც შეიძლება დიდმოსავლიანი გაზადონ და ეს მოსავალი მიმზიდველიც იყოს

და გემრიელიც. ერთხანს ცდილობდნენ პამიდორის დიდი ბუჩქები გამოეყვანათ. გამოიყვანეს კიდევ, მაგალითად: პროფესორმა ედელშტეინმა — ბოტანიკოსმა, იმოდენა ძირი გამოზარდა, ყლორტების დათვლაც კი ჭირდა. ზაფხულში პამიდორის ამ ბუჩქს 182 ამონაყარი ყლორტი ჰქონდა. თითო ყლორტზე რომ თითო ფუნჯს 6 პამიდორი გამოება, იანგარიშეთ, რა მოსავალი უნდა მოეცა ერთ პამიდორს. მაგრამ პროფესორი აღფრთოვანებული არ იყო და მართალიც აღმოჩნდა — ივლისში პამიდორს სულ 37 ფუნჯიღა შერჩა, ნაყოფიც არ იყო გემრიელი.

პამიდორის დიდი ბუჩქების გამოღვევებით რომ დიდი არაფერი გამოვიდა, ნაყოფის სიმსხოს განვითარებაზე გადაიტანეს ძირითადი ცდები — გამოიყვანეს ჯიშები, რომლის თითო ნაყოფი 1 კილოგრამს იწონის, მეტსაც — ერთნახევარ კილოგრამს. ამგვარი ჯიშები ვეღვან გაერცვლდა, დედამიწის ვეღვა კუთხეში. პამიდორს ზრდიან თბახებშიც. საცა ოთახში პამიდორი საკმაოდაა, იქ ბუჩო, კოლო და მუმილი ვეღარ ჩერდება. უკვე შემჩნეულია ერთი უცნაური რამაც: პამიდორი ადამიანთა საცხოვრებლებსაკენ მიიწევს. სულ რომ არ დათესონ და არ მოუარონ, პამიდორი მაინც მოვა ქალაქის ხევებსა და საყარებში. დასავლეთში გავრცელდა

ღარიბთა ასეთი ბაღებიც: გაცვეთილი აგროსაბურავები და შვგ პამიდორები, უთრო ზუსტად — ერთ საბურავში ერთი პამიდორი! პამიდორს, გარდა ადამიანისა, სხვაც ბევრი ეტროფილება. ამათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ფრინველები, თვით ფრინველებში კი შავი შაშვეები. შინაური ფრინველებში — ინდაური, ქათამი.

პამიდორის ჯიშების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის მთელი ინსტიტუტები მუშაობენ. თანამედროვე კვების მრეწველობის წარმადეგნა თითქმის შეუძლებელია პამიდორის გარეშე. სათბურულმა მებურნობამ ხომ პამიდორი ცივი, ვინვანი ზამთრის ჩვეულებრივი ჭირნახულიც გახადა. მოსწვეტე და მიირთვით — უგემრიელესია უმიც, მონარშულიც, შემწვარიც, მისი წვენი ხომ მშვენიერადაა ყოველი სუფრისა. მწვანე ნაყოფისას ამზადებენ მწინდებს.

ბოლო ხანებში ძალზე გამამფრებელი საშუალები მიმდინარეობს პამიდორის მოსავლის ახალები კომბაინის შესაქმნელად. უამრავი ცდა წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ უკვე არის საკმაოდ წარმატებით მომუშავე კომბაინებიც. ეს კომბაინები დიდად უწყობენ ხელს პამიდორის გააფებას ბაზარზე.

მარტო საბჭოთა კავშირში პამიდორის 100 ჯიშია აღნუსხული. ამ ჯიშებს მთელი ქვეყნის საბოსტნე მიწების 20%-ზე მეტი უკავია. ჩვენთან, საქართველოში — 40%. ჩვენ ჩვენი საამყო ჯიშები გვაქვს: ტოპორტული, ლავოდუხური, საადრეო და სხვა.

პამიდორი სისტემატურად მოითხოვს მიწის გაფხვიერებას, შემოყრას, სარეველის მოსაობას; ნაყოფი იკრიფება 4-5 დღეში ერთხელ. გავრცელებულია პამიდორის მიმე დაავადებანი. მათი სახელები ძნელი დასამახსოვრებელია, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად ამჩნევს არასასიამოვნო ცვლილებას. დიდები და პატარებიც, ვინც ახლოსა ვართ ბოსტნეებთან, უნდა ვიბრძოდეთ პამიდორზე შემჩნეული მანკიერების სწრაფად აღმოსაფხვრელად.

სულ ახალი ცნობა ჟურნალიდან:

აპონიაში ერთმა ძირმა პამიდორმა, რომლი ტოტებისგან პატარა ხევიანია გაკეთებული, უკვე 13 ათასი ნაყოფი მოიხსა.



მატყარი პიორკი როინიშვილი





1	2	3	4		5	6	7	4	6
8	6	3	9	10	11	12	10		8
6	5	6	7	2		3	13	2	12
4		14	15	2	16	6	17	6	

# თავსასუხუნდ

თუ სწორად უპასუხებთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს და ციფრების შესაბამის ასოებს მათს ზემოთა თავისუფალ უჯრებში ჩასვამთ, ამ უჯრებში წაიკითხავთ დიდი ქართული პოეტის — აკაკის ლექსის სტრიქონებს, რომლებიც ახალი აზრით აგივსებთ თქვენთვის ყველასათვის ნაცნობ წმინდა გრძნობას — სამშობლოს სიყვარულს.

1-10-5-6 — ძველებური ქართული ზედა სამოსი ვაჟისა.

2-14-10 — ბგერის, ხმის გამოძახილი.

16-6-17-6 — ნათესი მინდორი, რომელზეც ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლეულის მოსავალი მოდის.

13-10-12-4-6 — ზღვის ფრინველი.

17-2-8-7-6-17-4 — „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გმირის სახელი.

9-10-11-6 — დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

5-3-6-12-4 — ძველებური საომარი ცივი იარაღი.

15-2-17-6-5-4 — მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ვაზი.

## შენღმობის პასუხი

ჟურნალ „დილა“ № 4-ში რედაქციის თანამშრომელმა დედო წიგნწიგანებ მოამზადა წერილი „ჯეჯილის“ იუბილეს შესახებ. ნომერში კი იგი შეცდომით მითითებულია როგორც ავტორი „ჯეჯილიდან“ ამოღებული მასალისა „საქართველოს მუცე ქალე“.

# დილა

საბართველურს აღკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რმკშბლიკური საბჭოს შურნალო შმცრესკლასელთა-30ს.

გამოდის 1904 წლიდან.  
საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობა.

შთაბარი რედაქტორი  
რმკვპხ ინანინიანი

სარედაქციო კლკვია: მშურნალო აბრ-ბამ, მანანა აბიბამ, ლაბარა ბაბუა, სუხილო გობიბამ, შორი ლპიბამ-შპილი, სულუმინ დმშურნალო-შპილი, ლპილა პრამ, ბაშა ლუსაბამ, ბაშაბა მრამალო-შპილი, ჯურნა ნა-ლიბამ, მანანა ნალაპრი (პ/გ.შ.შ.შ.შ.შ.), ბიბი ბმლაპ, ბიბი ბიბიბამ.

სამშაბტორი რედაქტორი  
ბიბიბიბი ბიბიბიბი


რედაქციური რედაქტორი  
ბიბი ბიბიბი

შთამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—ბიბიბი, შ. კოსტავის 14. ტელე-შთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16 პ/შ, ბიბიბის 93-10-32, 93-98-18; სამშ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებუ-პის 93-98-19.

ვადაცე ასწუბაღ 20.04.90 წ., ხელშე-წერილია დასაბუბაღ 18.06.90 წ. ქა-დაღლის ზომა 60×90<sup>1/2</sup>, ფონ. ნამ. შურნ. 2,5. ტირაჟი 141.500, შკვკვია № 1026

შთაბუ ნახატო  
ბმსო ბიბიბიბიბი

«Диала» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.  
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ № 1026



შატვარი ნანა იოსელიანი

გამოცანით, რომელი ქროხა ამოარჩივს გავუვებამ დასახებამ.  
 ამ ქროხებუი მხოლოდ ორია ერთნარი. მონახეთ იხინი.